საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

განკარგულება №214/2020

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტის „შეცვალე საქართველო“ პარტიული სიის საარჩევნო რეგისტრაციაში გატარების შესახებ

ქ. თბილისი 2020 წლის 9 ოქტომბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ე” ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-11 პუნქტის, 117-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საარჩევნო სუბიექტის **„შეცვალე საქართველო“** თავმჯდომარის მიერ 2020 წლის 1 ოქტომბერს წარმოდგენილი განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №3017) საფუძველზე, ვადგენ:

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის რეგისტრაციაში გატარდეს საარჩევნო სუბიექტის **„შეცვალე საქართველო“** პარტიული სია.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე **თამარ ჟვანია**